როგორ ვისწავლოთ ღირსებისა და უფლებების დაფასება

ავტორი მარიამ გოდუაძე

დემოკრატიის კულტურაში ეფექტური მონაწილეობისა და კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებებში მშვიდობიანი თანაარსებობისათვის შექმნილ „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოში" საკვანძო ოც კომპეტენციათაგან პირველი ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასებაა[1]. ზოგადი რწმენა იმის თაობაზე, რომ თითოეულ ადამიანს თანაბარი ღირებულება და ღირსება აქვს, თანასწორ პატივისცემას იმსახურებს და მისდამი მოპყრობაც ამ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.

ამგვარი მიდგომების კვალში დგომა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ძალაუფლების ან ფიზიკური ძალის გამოყენებას სხვა ადამიანის, საზოგადოების თუ საკუთარი თავის წინააღმდეგ, რამდენადაც შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოლოგიური ტრავმა, განვითარების შეფერხება, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება ან სხვადასხვა სახის ზარალი.

ძალადობას აქვს სამი შემადგენელი: მსხვერპლი, დამნაშავე და ქმედება და მოიაზრება, როგორც კრიმინალი.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციის თანახმად, გამოიყოფა ძალადობის შემდეგი სახეები:

ფიზიკური ძალადობა;

ფსიქოლოგიური ძალადობა;

სექსუალური ძალადობა;

უგულებელყოფა.

წერილის მომდევნო ნაწილში სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას.

სპეციალურ ლიტერატურაში უგულებელყოფა განმარტებულია, როგორც „მშობლის თუ მეურვის მხრიდან ბავშვის ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი ადგილი, სამედიცინო მეთვალყურეობა, ტანსაცმელი, ყურადღება, ემოციური მხარდაჭერა და სხვ.) დაუკმაყოფილებლობა. უგულებელყოფის მძიმე ფორმას წარმოადგენს ბავშვის შრომითი ექსპლუატაცია ან კანონით აკრძალული საქმიანობის იძულება, მათ შორის, სექსუალური ექსპლუატაცია.

გამოიყოფა ბავშვთა უგულებელყოფის შემდეგი ნიშნები:

- ჰიგიენური ნორმების დაუცველობა – უსუფთაო სახე და სხეული;
- ასაკისა და სეზონისათვის შეუფერებელი ტანსაცმელი;
- ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში შეფერხება;
- ხშირი ავადმყოფობა;
- ხარბი ჭამა;

- თამაშების არცოდნა;
- თვითდამაზიანებელი ქცევები;
- უკიდურესი პასიურობა ან აგრესია;
- ემოციური და სოციალური მოუმწიფებლობა;
- დაბალი თვითშეფასება;
- სუსტი განვითარება;
- აუცილებელი მოხმარების საგნების არქონა;
- ხშირია კბილებისა და პირის ღრუს დაავადებები;
- დაღლილობა და აპათიურობა,;
- ყურადღების კონცენტრირების სირთულე;
- ძილის სურვილი.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ უგულებელყოფილი ბავშვი მუდმივად მშიერია, არარეგულარულად დადის ბაღში ან სკოლაში, შესაძლოა შეიმჩნეოდეს წვრილმან ქურდობაში, არ აქვს ჰიგიენის ელემენტარული ჩვევები“.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის ისეთ ფორმას, როგორიც უგულებელყოფაა, თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს და ჩვენში არც ისე მცირეა. ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წელს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტში ბავშვთა უგულებელყოფის 31 შემთხვევა დაფიქსირდა. იუნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 76% მიიჩნევს, რომ ბავშვთა ინტერესების უგულებელყოფა საქართველოში პრობლემას წარმოადგენს.

უგულებელყოფას შეიძლება ჰქონდეს ობიექტური მიზეზები: სიღარიბე, მშობელთა ფსიქიკური დაავადებები, მშობლების გამოუცდელობა, თუმცა ამ მიზეზების მიღმაც არსებობს უგულებელყოფის ფაქტები. ბავშვის სენსორული შიმშილით, ფიზიკური და ფსიქიკური საჭიროებების ხანგრძლივ დაუკმაყოფილებლობით საფრთხე ექმნება ბავშვის სრულფასოვან განვითარებასა და ფუნქციონირებას.

„არავის ვუყვარვარ“, „ყველასთვის ზედმეტი ვარ“, „ვერავის ენდობი“, – ეს ის მტკივნეული გზავნილებია, რომლებსაც უგულებელყოფილი ბავშვები სამყაროსგან საკუთარი თავის შესახებ იღებენ, და რომლებიც აისახება ბავშვის თვითშეფასებაზე და გარე სამყაროსადმი მტრული დამოკიდებულების ან მუდმივად ბრალეულობის განცდის მიზეზად გადაიქცევა ხოლმე. გარდა ამისა, ხშირია სტრესული რეაქციები: ძილის დარღვევა, დეპრესია, თავის ტკივილი, შიში, შფოთვა, უიმედობა, ჩაკეტილობა. ყოველივე ეს ვლინდება სხვადასხვა სახის ქცევით ან ემოციურ პრობლემებში“, – ამბობს ფსიქოლოგი მაია ცირამუა. მისი თქმით, გამონაკლისს არც, ე.წ. რესპექტაბელური ოჯახები წარმოადგენენ. „როდესაც ჩვენ ნაკლებად ვკონტაქტობთ ბავშვებთან, მათ დასმულ შეკითხვებს უყურადღებოდ ვტოვებთ, არ ვინტერესდებით მათი მოსაზრებებით, თავგადასავლებით, არ ვითვალისწინებთ მათ აზრს, მუდმივად თავიდან ვიშორებთ – ესეც უგულებელყოფაა“. უგულებელყოფილი ბავშვისთვის ეს მტკივნეული გამოცდილება გავლენას ახდენს მის მომავალ ცხოვრებაზეც და „მოზრდილობაში მისი ფსიქიკა კვლავაც „მზად არის“ ტრავმული რეაქციებისათვის“. რადგან სამყარო უგულებელყოფილი ბავშვისთვის არასაიმედო და საფრთხის შემცველია, ამიტომ იბრძვის, რაც სხვა ადამიანებთან მუდმივ კონფლიქტში ვლინდება, ან გარბის – საკუთარ თავში იკეტება, ან შეშდება, რაც

მორჩილებითა და უმოქმედობით გამოიხატება. „ფაქტობრივად, ისევე როგორც ძალადობის სხვა ფორმები, უგულებელყოფაც დაღია მთელი ცხოვრების მანძილზე“ – განმარტავს იგი.

ინკლუზიური განათლება და უგულებელყოფა.

როგორც წესი, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით უნდა მიმდინარეობდეს. თუმცა ჩვენში არცთუ ხშირია შემთხვევა, როდესაც ბავშვს აქვს დასწავლის უნარის ესა თუ ის დარღვევა, ემოციური ინტელექტის დაბალი დონე, არის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან ან რაიმე ტიპის ფიზიკური ტრავმის გამო სასწავლო პროცესიდან ამოვარდა და ეს ტრავმულია მისთვის... – ამგვარ შემთხვევებში ბავშვებს აქვთ სწავლაში ჩამორჩენა. სკოლა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს პასუხისმგებლობას, სპეცმასწავლებლის ჩარევითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით განაგრძონ ბავშვებთან მუშაობა, როცა მშობელი განცხადებით მიმართავს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლებს აშინებთ მათდამი შეთავაზებული განცხადების ოფიციალური ფორმა, რომელშიც საკმაოდ მძიმე დარღვევებია მითითებული. აცხადებენ, რომ მათი შვილი ასეთი არ არის და არ სჭირდება ინკლუზია. ამდენად, ისინი თავად აცხადებენ უარს, სკოლისგან მიიღონ ბავშვისთვის საჭირო სერვისი და არც თავად მიუწვდებათ ხელი ბავშვისთვის სათანადო ხელშეწყობაზე. ამდენად იჩაგრება ბავშვი. მისი საჭიროებები უგულებელყოფილია.

აღნიშნული საკითხი საქართველოს პარლამენტის განათლების კომიტეტის წინაშე ჯერ კიდევ 2017 წელს დავსვით, რასაც შედეგად მოჰყვა განათლების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის ბრძანება N 16/ნ, რომლის თანახმადაც, ამგვარ შემთხვევებში „სკოლის გუნდი მიმართავს მშობელს, რომელსაც აძლევს დროს, აიღოს პასუხისმგებლობა მოსწავლის სწავლის შედეგებზე. ხოლო თუ კვლავ გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სიძნელე, სკოლა გონივრულ ვადებში განმეორებით იღებს ზომებს მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების, ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ განაცხადოს წერილობით”[2].

ეს არის და ეს. თუკი მშობელი წინააღმდეგია, ბავშვმა ისარგებლოს სპეციალური განათლების სერვისით და ამის შესახებ სკოლას განუცხადებს, ბავშვის საჭიროება კვლავ უგულებელყოფილი რჩება და მას ვერაფრით ვშველით. არადა, ჩვენ ამას არ ვითხოვდით!

იუნისეფის კვლევებით გამოვლინდა, რომ ბავშვის უგულებელყოფის შემთხვევაში მოსახლეობის თითქმის 40% ფიქრობს, რომ სოციალურმა სამსახურებმა რეაგირება არ უნდა მოახდინონ. მოსახლეობის 70% დარწმუნებულია, რომ ამ შემთხვევაში პოლიციის ჩარევა საჭირო არ არის, ხოლო, 50% სკოლის ჩარევას მიიჩნევს ზედმეტად. ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში საზოგადოება ყველაზე საჭიროდ სოციალური სამსახურების ჩარევას (60%) მიიჩნევს და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს სხვა სამსახურებს.

რა ვიღონოთ უგფულებელყოფის აღმოსაფხვრელად?

ქართველ ფსიქოლოგთა ერთი ნაწილის აზრით, პირველ რიგში საზოგადოება უნდა იყოს მზად, ძალადობის ამ ფორმის აღმოჩენისთანავე მიმართოს შესაბამის უწყებებს – დარეკოს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (1505), მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ან პოლიციას, იმისათვის, რომ ბავშვი აღმოჩნდეს ისეთ გარემოში, სადაც მისი განვითარებისათვის ყველა საჭიროება დაკმაყოფილებული იქნება. „მნიშვნელოვანია, გაიზარდოს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა და გავაცნობიეროთ, რომ როცა მშობელი ბავშვს უგულებელყოფს, ის საფრთხეს უქმნის მის მომავალს, ხოლო, როცა ჩვენ ამაზე ვდუმვართ, საფრთხეს ვაღრმავებთ და ძალადობის თანამონაწილეები ვხდებით“.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლიც, მას უნდა შეეძლოს პრობლემის მოგვარებისას იყოს ეფექტური. ხოლო თითოეული პროფესიონალი, რომელსაც გულისხმიერი მოქალაქე მიმართავს, უნდა იყოს სენსიტიური. „როდესაც პოლიციელი გეუბნება, რომ მშობლის მიერ ქუჩაში მოწყალებისთვის გამწესებულ ბავშვზე არ ხორციელდება ძალადობა, იმიტომ, რომ მას მოცემულ მომენტში ფიზიკურად არავინ უსწორდება – ეს საგანგაშო სიგნალია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წარმოდგენაც არა აქვს, რომ ამ დროს ბავშვის ექსპლუატაცია ხდება. განსაკუთრებით მტკივნეულია, როცა ასეთ შეკითხვას მოჰყვება კითხვა – „სად წავიყვანოთ ბავშვი?“ პრობლემაა ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს შესაბამისი და საკმარისი სერვისები – თავშესაფრები, დღის ცენტრები, სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო და აღმზრდელობითი პროგრამები“, – ამბობს მაია ცირამუა. გარდა ამისა, მისი თქმით, უმნიშვნელოვანესია მშობლების განათლება, მათი მომზადება ბავშვებთან ურთიერთობისათვის. აუცილებელია, ქვეყანაში დაინერგოს პოზიტიური მშობლების ინსტიტუტი.

უგულებელყოფასთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის შემუშავებულია ძირითადი რეკომენდაციები:

უნდა შემუშავდეს და დაინერგოს დეტალური სახელმძღვანელო მითითებები (გაიდლაინები) და შიდასისტემური სავალდებულო ტრენინგები ძალადობის იდენტიფიკაციის და რეფერალის საკითხებზე, რეფერირების პროცედურების შესაბამისად;

მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მასწავლებლებისა და მანდატურების როლი ბავშვზე უგულებელყოფის შემთხვევების გამოვლენა-რეფერირების პროცესში. იმისათვის, რომ გაიზარდოს სკოლიდან სოციალური მომსახურების სააგენტოში რეფერირების ეფექტიანობა, სასურველია სკოლაში გამოიყოს ერთი თანამშრომელი, რომლის ძირითადი ვალდებულება იქნება უგულებელყოფის, როგორც ძალადობის იდენტიფიცირება სკოლაში, ოჯახებთან დაკავშირებისას დახმარება, ოჯახური ვითარების შეფასება და გარე უწყებებთან ურთიერთობების ხელშეწყობა;

მასწავლებლების და მანდატურების სამუშაოს აღწერილობაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს ბავშთა უგულებელყოფის შემთხვევებზე მათი რეაგირება. გარდა ამისა, სასურველია, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხები ჩართული იყოს მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებსა და მანდატურების სავალდებულო ტრენინგების კურიკულუმებში. პროფესიონალების პასუხისმგებლობები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული განათლების სამინისტროსა და/ან სკოლის შესაბამის დოკუმენტებში;

საჭიროა გადაიხედოს უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, რათა ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე რეაგირების პროცესში სკოლაც ჩაერთოს. სკოლის თანამშრომლებისათვის უნდა შემუშავდეს ახალი მექანიზმები, რაც გააუმჯობესებს ბავშვთა მიმართ უგულებელყოფის შემთხვევებზე მათ რეაგირებასა და შესაბამის მიმართვიანობას.

Z 62.4 – ეს ბავშვის მიმართ ბავშვის ემოციური
უგულებელყოფის საერთაშორისო კლასიფიკატორების კოდია, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მიერაა წარმოდგენილი და მისი საერთაშორისო კლასიფიკაციების ქსელის მიერ შექმნილი კლასიფიკაციათა ოჯახი სამეცნიერო და საკლასიფიკაციო პრინციპებს ეფუძნება, საერთაშორისოდ გამოიყენება და ფოკუსირდება ფიზიკური თუ მენტალური ჯანმრთელობის მრავალგანზომილებიან ასპექტებზე.
ცხრილი 1. ICD-ის კოდები ბავშვის მიმართ არაღირსეულად მოპყრობის შემთხვევების იდენტიფიცირებისათვის

კოდის ტიპი	ICD -10 კოდი	ICD 10 – კოდის აღწერა
დიაგნოზის კოდები	T74.0	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: უგულებელყოფა და მიტოვება
	T74.3	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: ფსიქოლოგიური ძალადობა
	T74.8	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: სხვა არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები
	T74.9	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: დაუზუსტებელი არაღირსეულად მოპყრობის სინდრომი
	Z62.0	მშობლის მიერ ბავშვზე არასათანადო მეთვალყურეობა და კონტროლი
	Z62.3	ბავშვის მიმართ მტრული დამოკიდებულება და მისი განტევების ვაცად ქცევა (scapegoating)
	Z62.4	ბავშვის ემოციური უგულებელყოფა
	Z62.5	ბავშვის უგულებელყოფით აღზრდასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები
	Z62.6	მშობლის მიერ ბავშვზე შეუსაბამო წნეხი და აღზრდის პროცესში გამოვლენილი სხვა პათოლოგიური/არანორმალური თვისებები
გამომწვევი გარე	X85-Y09	თავდასხმის კოდები – მოიცავს მოძალადის 5 კოდს, ესენია:

ფაქტორების კოდები		
	1	მშობელი
	2	ოჯახის სხვა წევრი
	3	მზრუნველი პირი
	8	სხვა განსაზღვრული პირი*
	9	სხვა განუსაზღვრელი პირი*
პროცედურების კოდები	5830600	მთლიანი ჩონჩხის რადიოგრაფია

*არაღირსეულად მოპყრობის ჯგუფში სხვა განუსაზღვრელი ან განსაზღვრული პირი შედის მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ბავშვი 14 წლის ან უფრო პატარაა (იხილეთ მეთოდოლოგიის ნაწილი უფრო დაწვრილებით განმარტებისათვის).

ემოციური ან ფსიქოლოგიური ძალადობა	T74.3	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: ფსიქოლოგიური ძალადობა
	Z62.3	ბავშვის მიმართ მტრული დამოკიდებულება და მისი განტევების ვაცად ქცევა (scapegoating)
	Z62.6	მშობლის მიერ ბავშვზე შეუსაბამო წნეხი და აღზრდის პროცესში გამოვლენილი სხვა პათოლოგიური/არანორმალური თვისებები
სხვა ან განუსაზღვრელი/ არასპეციფიკური/ დაუზუსტებელი/	T74.8	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: სხვა არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები
	T74.9	არაღირსეულად მოპყრობის სინდრომები: დაუზუსტებელი არაღირსეულად მოპყრობის სინდრომი
	Y07	სხვა არაღირსეული მოქცევის სინდრომები

წერილის დასაწყისში საუბარი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩოზე საუბრით დავიწყეთ. „ამ ჩარჩოს საშუალებით, მასწავლებლები შეძლებენ, შთაუნერგონ თავიანთ მოსწავლეებს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა შემწყნარებლობა და სხვების პატივისცემა, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ როგორც საკუთარი უფლებების, ასევე, სხვათა მიმართ პასუხისმგებლობების აღქმა“, – ვკითხულობთ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის, ტურბიორნ იაგლანდის წინასიტყვაობაში. და უპირველესი, რაც შეიძლება გაკეთდეს, უნდა დავიწყოთ ბევრი ფიქრი იმისთვის, როგორ ვაქციოთ აღნიშნული ღირებულებები უმოკლეს დროში ჩვენი და ჩვენი გარშემომყოფების ღირსეული არსებობის გარანტად.

სხვა რესურსები:

https://www.unicef.org/georgia/media/2066/file/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf

[1] https://rm.coe.int/georgie-competences-for-democratic-culture-geo/16808b391a

[2] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4007539?publication=0

https://www.mes.gov.ge/old/upload/editor/file/Brdzanebebi/2016/ianvari/01.pdf